



ეთნიკური უმცირესობების
სოციალური და ეკონომიკური შესკლუზია

ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2022



დოკუმენტი მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით, მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
მკვლევარი: თეონა ფირანიშვილი, ზაზა ბარბაქაძე
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, ზაზა ბარბაქაძე, „ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია“, 2022

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია

1. უმცირესობების სოციალური ექსკლუზია საქართველოში - პრობლემის აღწერა

ეთნიკური უმცირესობები სოციალურად და ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში, რაც განპირობებულია ამ ჯგუფების გარიყულობის და მივიწყების სისტემური პრაქტიკით. უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესების მიზნით არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ გატარებულა პოზიტიური ნაბიჯები და არ შემუშავებულა ინსტიტუციური და საკანონმდებლო მექანიზმები იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რაც მათ სოციალურ ექსკლუზიას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია, რაც ასახულია ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში, ექსკლუზია კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, რასაც რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემებიც მოწმობს.

1.1. სოციალური მარკერები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების სოციალური ექსკლუზიისა და მოწყვლადობის რეალობას აჩვენებს

1.1.1. შედარებადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემები


წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, რომელიც სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შეგროვდა და ის შედარებულია საქართველოს მთლიანი მოსახლეობის იმავე მონაცემებს.¹ ის კვლევები, რომელიც ISSA-ს მიერ მომზადებული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზისთვის გამოვიყენეთ შემდეგია: 1. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა, რომელიც საქართველოს სტატისტიკის მიერ არის ჩატარებული; 2. სამუშაო ძალის გამოკვლევა, რომელიც აგრეთვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარდა. ყველა ამ კვლევის მონაცემი 2021 წლის მდგომარეობას ასახავს.

ა) შინამეურნეობების სტრუქტურის ანალიზი

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია შინამეურნეობის სტრუქტურის შეფასება.


¹ შენიშვნა: თავიდანვე საყურადღებოა ერთი განმარტება, რომ როდესაც საუბარია საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობასა თუ შინამეურნეობაზე, იგულისხმება ადამიანების ან შინამეურნეობების მთლიანი სიმრავლე, რომელიც ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან ერთად მოიცავს ეთნიკურ უმცირესობებსაც.

გრაფა 1: შინამეურნეობაში მუდმივად მცხოვრები წევრების რაოდენობის განაწილება



როგორც გრაფა 1-დან ჩანს, ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელი შინამეურნეობების საშუალო ზომა არსებითად განსხვავებულია მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში მოცემული იდენტური მაჩვენებლისგან. მართლაც, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დონეზე 1 წევრისგან შემდგარი შინამეურნეობების წილი შინამეურნეობათა მთლიანი რაოდენობის 17.4%-ს შეადგენს. იდენტური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობებისთვის. როგორც ეს მონაცემებიდან ჩანს, გამოკითხულთაგან მხოლოდ 0.4% არის ისეთი შინამეურნეობა, რომელშიც მხოლოდ 1 წევრი ცხოვრობს. ამასთან, ეთნიკური უმცირესობების მონაცემებთან შედარებით, ქვეყნის დონეზე მაღალია 2 და 3 წევრისგან შემდგარი შინამეურნეობების წილი. რაც შეეხება 4 და მეტი წევრისგან შემდგარი შინამეურნეობების შემთხვევებს, თითოეული ამ კატეგორიისთვის ეთნიკური უმცირესობის შესაბამისი წილი სჭარბობს მთლიანად საქართველოს მოსახლეობის წილებს. მაგალითად, ISSA-ს მიერ გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შინამეურნეობების 18.4% შედგება 4 წევრისგან მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 3.1%-ით ნაკლები სიდიდისაა ქვეყნის დონეზე (15.3%). წარმოდგენილი დამოკიდებულება შენარჩუნებულია შედარებით მრავალრიცხოვანი შინამეურნეობების შემთხვევაშიც (4-ზე მეტი წევრისგან შემდგარი შინამეურნეობები). აღწერილი მონაცემები ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული შინამეურნეობები საშუალოდ უფრო მეტი წევრისგან შედგებიან.

გრაფა 2: შინამეურნეობაში მუდმივად მცხოვრები წევრების რაოდენობის კუმულატიური განაწილება



საინტერესოა, რამდენად სტატისტიკურად სანდოა ოჯახის საშუალო ზომებს შორის არსებული სხვაობა, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისა და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის ანალიზისას გამოვლინდა. ამისთვის განვიხილოთ ქვემოთ ცხრილი

საშუალო მონაცემების შედარება (T ტესტი) – ოჯახის საშუალო ზომა

	შერჩევის ზომა	საშუალო ასაკი	T ტესტი
ეთნიკური უმცირესობა	1,395	4.7	2.479 * 10 ⁻¹¹³ < 0.05
საქართველოს მოსახლეობა	13,621	3.3	

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შინამეურნეობის საშუალო ზომა შეადგენს 4.7 ადამიანს მაშინ, როდესაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დონეზე დათვლილი იდენტური მაჩვენებელი 30%-ით ნაკლებია მასზე და 3.3 ადამიანის ტოლ სიდიდეს შეადგენს. ცხრილიდან აგრეთვე იკვეთება, რომ საშუალო მონაცემებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა, რადგან T ტესტით დათვლილი ალბათობა 5%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, 95%-იანი სანდოობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შინამეურნეობათა საშუალო ზომებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სანდოა².


ამდენად რაოდენობრივი კვლევების (შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და ეთნიკური უმცირესობების კვლევა) შედეგებმა ცხადყო მნიშვნელოვანი განსხვავება შინამეურნეობის საშუალო სიდიდეებს შორის. მართლაც, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ტიპური შინამეურნეობა 4.7 ადამიანისგან შედგება მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 3.3 ადამიანის ტოლია მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ საშუალო მონაცემებს შორის მითითებული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ბ) მოსახლეობის ასაკობრივი ანალიზი


² რეალურად, შესაძლებელია ვისაუბროთ 99.9%-იან სტატისტიკურ სანდოობაზეც, თუმცა აქაც და დოკუმენტის სხვა ნაწილებშიც სტატისტიკური ტესტი 95%-იანი სანდოობითაა დათვლილი.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ასაკის მიხედვით განაწილების შესადარებლად განვიხილოთ გრაფა 3 და გრაფა 4.

გრაფა 3: მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით



გრაფა 4: ასაკის მიხედვით მოსახლეობის კუმულატიური განაწილება



გრაფა 3 წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევით გამოკითხული ეთნიკური უმცირესობებისა და ქვეყნის მოსახლეობის ასაკის მიხედვით განაწილებას 2021 წლისთვის. როგორც მონაცემებიდან ჩანს, რესპონდენტების ასაკის მიხედვით განაწილება მეტ-ნაკლებად მსგავსია. მე-5 გრაფაზე წარმოდგენილი შედეგების მეტად სრულფასოვნად ანალიზისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. **კუმულაციური განაწილების ფუნქცია**³, რომელიც მე-6 გრაფაზეა წარმოდგენილი. აღნიშნულ გრაფაზე კუმულაციური განაწილების ფუნქცია მოცემულია როგორც ეთნიკური უმცირესობებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობისთვის. შესამჩნევია, რომ 18-24 ასაკობრივი ჯგუფის შემდეგ, თითოეული ჯგუფისთვის ქვეყნის დონეზე არსებული კუმულაციური განაწილების მნიშვნელობა აჭარბებს ეთნიკური უმცირესობებისთვის დათვლილ იდენტურ მაჩვენებელს. მართლაც, მონაცემების მიხედვით, 34 წლამდე ასაკის ადამიანების წილი ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში 30.7%-ის ტოლი სიდიდე შეადგინა, ხოლო ქვეყნის დონეზე - 31.3%. ანალოგიურად, 44 წლამდე ასაკის მოსახლეობას რაოდენობრივ კვლევაში 50.2%, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით 46.9% უჭირავს. იგივე დასტურდება შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფებისთვის. **აღნიშნული მიუთითებს, რომ მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკი აჭარბებს ეთნიკური უმცირესობების საშუალო ასაკს.**

ზემოთ მოცემულ აბზაცში წამოყენებული მოსაზრების დასაბუთებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სტატისტიკური ანალიზის მეთოდი.

ცხრილი 1: საშუალო მონაცემების შედარება (T ტესტი) - შინამეურნეობის სრულწლოვან წევრთა საშუალო ასაკი

	შერჩევის ზომა	საშუალო ასაკი	T ტესტი
ეთნიკური უმცირესობა	1,510	46	3.41 * 10 ⁻⁷ < 0.05
საქართველოს მოსახლეობა	58,316	50	

ცხრილ 2-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა დავადგინოთ 2 განაწილების საშუალო მონაცემს შორის განსხვავების სტატისტიკურად სანდოობის საკითხი. როგორც ცხრილიდან ჩანს, **გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობის საშუალო ასაკი 46 წელს, ხოლო მთლიანად საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 50 წელს შეადგენს**⁴. როგორც ცხრილი 1 უჩვენებს, T ტესტის მიხედვით დათვლილი ალბათობა საკმაოდ ახლოს არის 0-თან ($3.41 * 10^{-7} < 0.05$). შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ საშუალო ასაკებს შორის განსხვავება სტატისტიკურად არასაიმედოა, საკმაოდ მცირეა. ანუ, 95%-იანი ალბათობით განხილული 2 შერჩევის საშუალო მონაცემებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სანდოა.

ამდენად, ეთნიკური უმცირესობების საშუალო ასაკი (46 წელი) უფრო მცირეა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის საშუალო ასაკთან შედარებით (50 წელი).


გ) განათლებასთან დაკავშირებული მარკერები

³ კუმულაციური განაწილების (იგივე F) ფუნქცია გვიჩვენებს იმის ალბათობას, რომ შემთხვევით შერჩეული რესპონდენტი მოხვდება კონკრეტულ ასაკობრივ ინტერვალში ან ამ ასაკობრივი ინტერვალის ქვემოთ.

⁴ შენიშნეთ, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია ზრდასრული ადამიანებისგან შემდგარი სიმრავლეების საშუალო ასაკზე.

დემოგრაფიული მონაცემების შედარებით ანალიზის შემდეგ ნაწილს წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის განათლების მიღწეული დონეების განხილვა. განვიხილოთ გრაფა 5.

გრაფა 5: ზრდასრული მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით



გრაფა 5-ზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებისთვის მეტად დამახასიათებელია საგანმანათლებლო პროცესის დაბალ საფეხურზე დასრულება ქვეყნის მთლიან მოსახლეობასთან შედარებით. მართლაც, მაშინ, როდესაც სრული საშუალო განათლების დონეზე უფრო მაღალი საფეხურისთვის (საშუალო ტექნიკური, სრული უმაღლესი, სამეცნიერო ხარისხი) მიღწეული აქვს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 43.1%, იგივე მაჩვენებელი 26.2%-ს შეადგენს ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთან, მაღალია იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი, რომელთაც არ მიუღწევიათ სრული საშუალო განათლებისთვის; სრული საშუალო განათლების არ მქონე ეთნიკური უმცირესობების წილი 23.2%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 10.1%-ის ტოლია მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის დონეზე.

საკითხის რეგიონების/ დასახლებების დონეზე ანალიზისთვის განვიხილოთ ქვედა ცხრილზე წარმოდგენილი ინფორმაცია.

ზრდასრული მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით - რეგიონების/ დასახლებების მიხედვით ანალიზი

	კახეთი	პანკისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	ეთნიკური უმცირესობები
დაწყებითი განათლების გარეშე	3.6%	0.0%	0.3%	0.6%	1.1%
დაწყებითი განათლება	13.2%	0.8%	0.3%	1.6%	4.0%
არასრული საშუალო განათლება	37.2%	10.7%	8.8%	15.5%	18.1%
სრული საშუალო განათლება	32.9%	52.8%	57.5%	56.9%	50.1%
საშუალო ტექნიკური/საშუალო სპეციალური განათლება	7.1%	11.7%	14.0%	6.2%	9.7%
სრული უმაღლესი განათლება	5.1%	23.6%	18.4%	18.9%	16.4%

სამეცნიერო ხარისხი	0.0%	0.2%	0.0%	0.2%	0.1%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.7%	0.2%	0.8%	0.0%	0.4%

ცხრილზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სრული საშუალო განათლების არ მქონე მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად მაღალია კახეთის აზერბაიჯანელების შემთხვევაში (რესპონდენტების 54%). რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის სამიზნე სხვა რეგიონებს/დასახლებებს, მათთვის დათვლილი იდენტური მაჩვენებელი შედარებით დაბალია: ქვემო ქართლი - 17.7%, პანკისი - 11.5%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში სრული საშუალო განათლების არ მქონე მოსახლეობის წილი მხოლოდ 9.4%-ს შეადგენა.


პარალელურად, კახეთის რეგიონში შედარებით დაბალია იმ შინამეურნეობათა წილი, რომლებსაც მიღწეული აქვთ საშუალო განათლებასთან შედარებით უფრო მაღალი საგანმანათლებლო საფეხურისთვის (რესპონდენტების 12.2%). სხვა რეგიონებისთვის/დასახლებებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია და შემდეგ პროცენტულ სიდიდეებს შეესაბამება: პანკისი - 35.5%, სამცხე-ჯავახეთი - 32.4%, ხოლო ქვემო ქართლი - 25.3%.

ამდენად, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში მაღალია იმ სრულწლოვანი ადამიანების წილი, რომლებსაც მიღწეული არ აქვთ სრული ზოგადი განათლების საფეხურისთვის 23.2%. მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 10.1%-ის ტოლია. პარალელურად, ეთნიკურ უმცირესობებში ნაკლებია ტექნიკური და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების წილი. მართლაც, თუ ხსენებული მაჩვენებელი 43.1%-ის ტოლია მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში, იგი მხოლოდ 26.6%-ს შეადგენს ეთნიკური უმცირესობებისთვის. კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების განათლების მარკერები რადიკალურად დაბალი და უსამართლოა. სრული საშუალო განათლების არ მქონე მოსახლეობის ამ თემში 54 % აღწევს. ამავე თემში ასევე დაბალია იმ შინამეურნეობათა წილი, რომლებსაც მიღწეული აქვთ საშუალო განათლებასთან შედარებით უფრო მაღალი საგანმანათლებლო საფეხურისთვის (მხოლოდ 12,2%)

დ) შრომა და დასაქმების ბაზარი

ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა დავიწყოთ შრომის ასაკის ზემოთ მოსახლეობის დასაქმების სტატუსის ანალიზით. განვიხილოთ გრაფა 6, რომელზეც წარმოდგენილია ეთნიკური უმცირესობებისა და ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის (შრომითი ასაკის მოსახლეობა) დასაქმების სტატუსის შესახებ ინფორმაცია.

გრაფა 6: დასაქმების სტატუსი 2021 წლის მდგომარეობით⁵



როგორც მე-6 გრაფა გვიჩვენებს, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში გამოკითხული რესპონდენტების 12.9% ხასიათდება უმუშევრობით. მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის შემთხვევაში უმუშევარი ადამიანების წილი შრომითი ასაკის მოსახლეობაში 9.8%-ის ტოლია (3.1%-ით დაბალი უმუშევრობა). აღსანიშნავია, რომ ადამიანის უმუშევრად იდენტიფიცირებისას როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის შემთხვევაში გამოყენებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებული უმუშევრობის მკაცრი კრიტერიუმი. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით ადამიანი ითვლება უმუშევრად, თუ მას არ აქვს ანაზღაურებადი სამსახური და, ამასთან ერთად, აქტიურად ეძებს დასაქმების შესაძლებლობას უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში.

ქვეყნის დონეზე დათვლილ მონაცემთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობებისთვის მაღალია სამუშაო ძალაში მონაწილეობის კოეფიციენტი (ეკონომიკური აქტივობის დონე). სამუშაო ძალაში მონაწილეობის კოეფიციენტი მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც ან დასაქმებულნი არიან ან ხასიათდებიან უმუშევრობით. სამუშაო ძალის გარეთ მყოფ ადამიანებში კი მოიაზრება ის პირები, რომლებიც არც მუშაობენ და არც აქტიურად ეძებენ დასაქმების შესაძლებლობას სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. როგორც გრაფა 8-დან ჩანს, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანების წილი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დონეზე 49.5%-ს, ხოლო ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში 39.8%-ს შეადგენდა. აღნიშნული ავტომატურად გულისხმობს, რომ სამუშაო ძალაში მონაწილეობის კოეფიციენტი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობისთვის 50.5%-ს, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისთვის 60.2%-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საშუალოდ მეტი ეკონომიკური აქტივობით ხასიათდებიან. ანუ, ეთნიკური უმცირესობებისგან მეტია (საუბარია პროცენტულ

⁵ შენიშნეთ, რომ როგორც გრაფაზე, ისე მის შესაბამის ადწერილობით ნაწილში უმუშევრობის დონე დათვლილია რესპონდენტების მთლიანი და არა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობიდან, როგორც ეს საზოგადოდ არის მიღებული. დასაქმების და უმუშევრობის ერთობლივად განსახილველად შემოთავაზებული მეთოდი მოსახერხებელია. ამასთან, იგი ხელს არ უშლის მოცემული დოკუმენტის ძირითადი მიზნის მიღწევას - რაოდენობრივი მონაცემების შედარებითი ანალიზი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების დონეზე


მეტობაზე) ისეთი ადამიანი, რომელიც ან დასაქმებულნი არიან ან არ მუშაობენ, თუმცა აქტიურად ეძებენ დასაქმების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ეთნიკური უმცირესობების წილი ყველაზე დიდია კახეთში (რესპონდენტების 49.3%). სხვა რეგიონებში/ დასახლებებში სამუშაო ძალის გარეთმყოფი მოსახლეობის წილები შემდეგი სიდიდისაა: ქვემო ქართლი - 45.6%, სამცხე-ჯავახეთი - 33.2%, პანკისი - 30.9%.

რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებლებსა და დასაქმებულთა განაწილებას დასაქმების ფორმების მიხედვით, მონაცემების მიხედვით შედეგები ასე გამოიყურება: გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთაგან 46.1% არის დასაქმებული. ამათგან, 17.2% დაქირავებით დასაქმებულია, 16.2% ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო 12.7% თვითდასაქმებულია.

ეთნიკური უმცირესობების შედეგებთან შედარებით, მცირეა დასაქმებულთა წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში. მაჩვენებლის მნიშვნელობა შეადგენს 40.7%-ს, რაც, თავის მხრივ, 5.4%-ით ნაკლებია ეთნიკური უმცირესობების დასაქმების დონესთან შედარებით. დასაქმებულთაგან ყველაზე დიდი ნაწილი - 25.2% დაქირავებით დასაქმებულია, 9.7% ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო 5.8% განეკუთვნება თვითდასაქმებულთა კატეგორიას.

გრაფა 7-ზე მოცემულია ინფორმაცია სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით განაწილების შესახებ. მონაცემები ასახავს 2021 წლის მდგომარეობას.

გრაფა 7: სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის განაწილება სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით - 2021 წელს არსებული მდგომარეობა



2021 წელს, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის შემთხვევაში კაცებთან შედარებით მაღალი იყო იმ ქალების წილი, რომლებიც სამუშაო

ძალის მიღმა იმყოფებოდნენ. მართლაც, ეკონომიკურად არააქტიური ქალების წილი ეთნიკურ უმცირესობებში 49.5%-ს, ხოლო მთლიანად ქვეყნის მოსახლეობაში 60.2%-ს შეადგენს. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მდგომარეობა ასეთია: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მამაკაცების 30.6%, ხოლო ქვეყნაში მცხოვრები მამაკაცების 37.7% განეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას.

განვიხილოთ სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით. განაწილება წარმოდგენილია სამი განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფისთვის:

1. ახალგაზრდები - 18-34 ასაკობრივი ჯგუფი,
2. შუახნის ასაკის მოსახლეობა - 35-59,
3. საპენსიო ასაკს მიტანებული/ საპენსიო ასაკის მოსახლეობა - 60 წლის და მეტი ასაკის ადამიანები.

როგორც გრაფა 7-დან ჩანს, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის წილი განსაკუთრებით მაღალია 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაში. შენიშნეთ, რომ ზემოთ აღნიშნული სამართლიანია როგორც ეთნიკური უმცირესობების (რესპონდენტების 68.7%), ისე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობისთვის (რესპონდენტების 71.6%). აგრეთვე მაღალ წილს ალწევს სამუშაო ძალის მიღმა მყოფი ახალგაზრდების წილი; 18-34 წლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების 36.2%, ხოლო მთლიანად ქვეყნაში მცხოვრები ახალგაზრდების (18-34 წლის ახალგაზრდები) 41.5% იმყოფება სამუშაო ძალის მიღმა. რაც შეეხება შუა ხნის ასაკის მოსახლეობას, მათში სამუშაო ძალის მიღმა მყოფი ადამიანების წილი შედარებით მცირეა. როგორც ეს მე-7 გრაფაზეა მოცემული, შუა ხნის ასაკის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მხოლოდ 24.5%, ხოლო მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის 32.4% იმყოფება სამუშაო ძალის მიღმა.

გრაფა 7-ის ბოლო ნაწილში მოცემულია ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები დასახლების ტიპების (სოფელი, ქალაქი) მიხედვით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 37.4% განეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობისთვის იგივე მაჩვენებელი შედარებით მაღალია და 45.7%-ს შეადგენს. რაც შეეხება სასოფლო დასახლებებში არსებულ მდგომარეობას, საშუალოდ დასახლების აღნიშნული ტიპი ეკონომიკური აქტივობის შედარებით დაბალი დონით (შესაბამისად, არააქტივობის მაღალი დონით) ხასიათდება. მართლაც, სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 40.6%, ხოლო ამავე ტიპის დასახლებებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის 52.1% განეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას.

ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით, მთლიანად საქართველოს მოსახლეობის დიდი წილია სამუშაო ძალის მიღმა. მართლაც, ქვეყნის მოსახლეობის დონეზე აღნიშნული მაჩვენებელი 49.5%-ს უდრის მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში 39.8%-ს შეადგენს. პარალელურად, ეთნიკური უმცირესობებისთვის დათვლილი უმუშევრობის დონე (12.9%) უფრო მაღალია ვიდრე საქართველოს ზრდასრული მოსახლეობისთვის დათვლილი უმუშევრობის დონე (9.8%). აღნიშნული ორი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაოს ძიების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი ვიდრე

⁶ ტექსტში ტერმინები „სამუშაო ძალის გარეთ მყოფი“ და „ეკონომიკურად არააქტიური (პასიური)“ ერთმანეთის სინონიმების როლში გვხვდებიან. ანალოგიურად, ტერმინები „სამუშაო ძალაში მყოფი“ და „ეკონომიკურად აქტიური“ წარმოდგენენ სინონიმებს.


ქვეყნის ტიპური მკვიდრი, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უჭირთ სამუშაოს მოძიება, რის გამოც მათ შემთხვევაში დათვლილი უმუშევრობის დონე შედარებით მაღალია.

როდესაც უმუშევრობის საკითხს ვიხილავთ სქესის, ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვით, ვხედავთ, რომ სამუშაო ძალის მიღმა ყოფნა კაცებთან შედარებით მეტადაა დამახასიათებელი ქალებისთვის. ამასთან, 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის მეტად ტიპურია ეკონომიკურად არააქტიურობა. რაც შეეხება საკითხის დასახლების ტიპის (სოფელი; ქალაქი) ჭრილში განხილვას, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

ე) შემოსავლის ძირითადი წყაროები

მოცემული ქვეთავი განიხილავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შინამეურნეობებისა და მთლიანად ქვეყანაში მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროებს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლის კატეგორიების ნაწილის მსგავსად, წარმოდგენილ ნაწილში გამოყენებული კვლევის მეთოდები განსხვავებულია. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობრივი კვლევა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევა შემოსავლის წყაროებს შესაძარი, თუმცა არა იდენტური ფორმით წარმოადგენს. განვიხილოთ გრაფა 8 და გრაფა 9.

გრაფა 8: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები - 2021 წლის მდგომარეობა




გრაფა 8 იძლევა ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროების შესახებ. მიღებული შედეგების მიხედვით, შემოსავლის ძირითად კატეგორიებს განეკუთვნება:

1. **ოჯახის წევრების ხელფასები და გამომუშავებული ანაზღაურება:** მოცემული კატეგორია წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 36.2%-თვის;
2. **პენსია:** პენსიიდან მიღებული შემოსავალი ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 27.5%-თვის;
3. **სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა:** სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 21.7%-ის შემთხვევაში.

შემოსავლის სხვა წყაროები რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილისთვის წარმოადგენენ ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს.

გრაფა 9: საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროები - 2021 წლის მდგომარეობა



გრაფა 9, გრაფა 8-ის მსგავსად, განიხილავს შემოსავლების ძირითად წყაროებს იმ განსხვავებით, რომ მე-13 გრაფაზე წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობების მთლიანი სიმრავლის დონეზე. ამასთან, მიღებული შედეგი დაყრდნობილია ფაქტობრივ შედეგზე. ანუ, შემოსავლის ძირითად წყაროდ ის კატეგორიაა ჩათვლილი, რომლიდან მიღებული ფულადი შემოსავალიც აჭარბებს ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებულ შემოსავალს.

როგორც გრაფიდან ჩანს, საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობებიდან ყველაზე დიდი ნაწილის ძირითადი შემოსავალი ფორმირდება პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა დახმარებებიდან (**რესპონდენტების 38.1%**). შენიშნეთ, რომ განხილული კატეგორია ეთნიკური უმცირესობების რაოდენობრივ კვლევაში 2 ნაწილად არის დაყოფილი: (1) პენსიიდან მიღებული შემოსავალი (ძირითადი შემოსავლის წყაროა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების 27.5%-სთვის) და (2) შემოსავალი სხვადასხვა ტიპის სოციალური და დევნილთა დახმარებებიდან (ძირითადი შემოსავლის წყაროა ეთნიკური უმცირესობების 6.9%-სთვის). **ჯამში აღნიშნული 2 კატეგორია 34.4%-ს შეადგენს.** ანუ, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ისე საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობათა მთლიანი ერთობლიობისთვის საპენსიო, სოციალური, დევნილთა და სხვა ფორმის დახმარებებიდან მიღებული შემოსავლები ჯამური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

აგრეთვე საკმაოდ დიდია საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობებიდან ისეთი ოჯახების წილი, რომელთათვისაც შემოსავლის ყველაზე დიდი ნაწილი დაქირავებით შრომიდან ფორმირდება. მითითებული მაჩვენებელი 35.8%-ის ტოლია და შემოსავლის ძირითად წყაროებში რიგით მე-2 ადგილს იკავებს. შენიშნეთ რომ იდენტური მაჩვენებელი აგრეთვე მაღალია ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაშიც. მართლაც, შემოსავლის წყარო დასახელებით „ოჯახის წევრების ხელფასები/ გამომუშავებული შემოსავლები“ შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების 36.2%-სთვის.

გრაფა 8-სა და გრაფა 9-ის ანალიზისას თვალში საცემია შემდეგი გარემოება: ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შინამეურნეობების 21.7%). საქართველოში მცხოვრები შინამეურნეობების მთლიანი სიმრავლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებია და მხოლოდ 7.6%-ს შეადგენს - შინამეურნეობათა აღნიშნული სიმრავლიდან 7.6%-ის შემთხვევაში შემოსავლის ყველაზე დიდი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიიღება.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შინამეურნეობებთან შედარებით, შემოსავლების თვალსაზრისით უკეთესი შედეგი იკვეთება მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის შემთხვევაში. მართლაც, თუ საშუალოზე დაბალი შემოსავალი მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის 53.3%-ს აქვს, იგივე მაჩვენებელი 68.6%-ის ტოლია ეთნიკური უმცირესობებისთვის.

შემოსავლების სიმცირის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის. როგორც მონაცემებმა უჩვენა, ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 83.7% ხასიათდება საშუალოზე დაბალი შემოსავლით. სამიზნე რეგიონებიდან/ დასახლებებიდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შეინიშნება. მოცემულ რეგიონში მაჩვენებელი სხვა სამიზნე რეგიონებთან/ დასახლებებთან შედარებით მინიმალურია და 54.9%-ს შეადგენს.

დოკუმენტში შეინიშნება მსგავსება, როდესაც ვიხილავთ ეთნიკური უმცირესობების და საქართველოს მთლიანი მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროებს. მართლაც, დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა როგორც მთლიანად ქვეყნის (35.8%), ისე ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში (36.2%). იგივე შეიძლება ითქვას საპენსიო შემოსავალზე, რომელიც პასუხების 38.1% შემთხვევებში გვხვდება მთლიანად საქართველოს მოსახლეობის შემთხვევაში, ხოლო 27.5% შემთხვევებში - ეთნიკურ უმცირესობებთან.

1.1.2. სხვა მნიშვნელოვანი სოციალური მარკერები, რომელიც ISSA რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანია მონაცემები ISSA-ს რაოდენობრივი კვლევიდან, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში მნიშვნელოვანი სოციალურ ასიმეტრიებსა და საჭიროებებს აჩვენებს. რადგან ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემების საერთო ეროვნულ მონაცემთან შედარების შესაძლებლობა რელევანტური კვლევების არ ქონის გამო არ გვქონდა, მათ მხოლოდ კვლევის შედეგების

საფუძველზე წარმოვადგენთ. თუმცა, ამ მონაცემების მიხედვით შედეგები საჭიროებებსა და ეთნიკური უმცირესობების მოწყვლადობას თავის მხრივ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს.

ა) ქართული ენის ცოდნა და მისი გამოყენება

უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობას ამძიმებს ქართული ენის ცოდნის მხრივ არსებული მდგომარეობა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების 63% ცუდად ან ძალიან ცუდად ცნობს ქართულ ასოებს და კითხულობს სიტყვებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 60%-ს, მათივე შეფასებით, ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია, ხოლო ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია კიდევ უფრო დიდ ნაწილს (84%).

აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა ასაკი გავლენას ახდენს ქართული ენის ცოდნის ხარისხზე: ასაკის მატების პარალელურად მცირდება მათი რიცხვი, ვინც კარგად იცის ქართული ენა. მოცემული ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონების ჭრილშიც, პანკისი ხეობის გამოკლებით, სადაც ქართულ ენას თითქმის ყველა ასაკობრივი კატეგორია ერთნაირად კარგად ფლობს. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ქართული ენის ცოდნის ხარისხი გავლენას ახდენს რესპონდენტთა დასაქმების სტატუსზე. კერძოდ, ქართული ენის კარგად მცოდნე რესპონდენტების 26% დასაქმებულია საჯარო და კერძო სექტორში. პირიქით, ქართული ენის ცუდად მცოდნე/არმცოდნე რესპონდენტთა შორის მხოლოდ 9%-ია დასაქმებული. მოცემული ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონების ჭრილშიც.

ბ) სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პროგრამებში ჩართულობა

როგორც ISSA-ს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რესპონდენტებს ან/და მათი ოჯახის წევრებს ძირითად შემთხვევებში, არ უსარგებლიათ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროგრამებით/პროექტებით. კონკრეტულად, რესპონდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა შემდეგ პროგრამებში/პროექტებში: სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ (85.2%), პროგრამა „დანერგე მომავალი“ (89.6%), აგროდაზღვევის პროგრამა (90%), შეღავათიანი აგროკრედიტი (80.8%), მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (91.1%), ფერმათა/ ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (89%). რესპონდენტები მცირედ აქტივობას აფიქსირებენ ორი პროექტის მიმართულებით: შეღავათიანი აგროკრედიტი (8.5%) და სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ (5.2%).

იმ რესპონდენტებს, ვინც განახადა, რომ არ მიუღია მონაწილეობა შეთავაზებულ პროგრამებში, დაესვათ კითხვა ამის მიზეზების შესახებ. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი (37.3%) ამბობს, რომ პროგრამის შესახებ არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია. რესპონდენტთა მიახლოებით მეხუთედის (18.3%) თანახმად, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება არ ესაჭიროებოდათ. ხაზგასასმელია, რომ გამოკითხულთა 14.5% ამბობს, რომ არ სჯერა პროგრამის ეფექტიანობის. თითქმის 18 % მდე ადამიანს კი უჭირს პასუხის გაცემა აღნიშნულ კითხვაზე.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული ბარიერები უკავშირდება შემდეგ საკითხებს: მიწის საკუთრების/რეგისტრაციის გართულებული მდგომარეობა, მაღალი გადასახადები, გაცვეთილი სარწყავი სისტემა (ამჟამად რეაბილიტირებული), სოფლის მეურნეობის

პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებისათვის აუცილებელი უნარ -ჩვევების არ ქონა, ცუდად ორგანიზებული გაყიდვები (გლეხები მყიდველებს თავად ეძებენ).

მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ საუბრისას აღინიშნა როგორც ბიზნეს განათლების ნაკლებობა, ასევე რეგიონში ბიზნეს განვითარების სრული ნაკლებობა, ასევე ადგილზე არსებული ბიუროკრატია (კიდევ უფრო გართულებული სახელმწიფო ენის ცოდნის არარსებობის გამო); ადგილობრივებისათვის მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს მაღალი გადასახადები და ჯარიმები და საბანკო სესხთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა აღებაც უწყვეტ ფინანსური ხარჯების გასაწევად.

გ) სოციალური დაცვა

კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობას (70%) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ სმენია. მეორე მხრივ, 30%-ს ასეთი ბაზის არსებობის შესახებ არ აქვს ინფორმაცია. გამოკითხულთა უმრავლესობას (58%) უმწეო ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად განაცხადი შეტანილი არ აქვს. მათ შორის, ვინც დაასახელა თავიანთი სარეიტინგო ქულა, თითქმის 40%-ის შეფასებით, მათი ოჯახის რეალური ეკონომიკური მდგომარეობა და სარეიტინგო ქულა ერთმანეთს არ შეესაბამება (ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დაბალია, ვიდრე შეფასდა), 36%-ის აზრით, კი დაახლოებით შეესაბამება.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მიახლოებით მეხუთედი (21.3%) აფიქსირებს, რომ ამჟამად მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა მოქცეულია 0-57000 დიაპაზონში. კახეთისა (27.8%) და პარნკისის (24%) რეგიონებში რესპონდენტები შედარებით ხშირად აქცევენ თავიანთი ოჯახის სარეიტინგო ქულას 0-57000 დიაპაზონში.

დ) ჯანდაცვა

ყოველი მეორე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის ყველა წევრი დაზღვეულია, თუმცა, დიდ წილს (33%) არ აქვს სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული დაზღვევა, რომელიც მთელ ოჯახზე ვრცელდება. ისეთ ოჯახებში კი, სადაც რომელიმე წევრი არ არის დაზღვეული, მსგავსი გადაწყვეტილების მიზეზად, ძირითადად, სახელმწიფო/მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის არსებობის შესახებ ინფორმაციის უქონლობა დასახელდა; მეორე მხრივ კი, ყოველი მესამე რესპონდენტი არ ფლობს ინფორმაციას, თუ ვის უნდა მიმართოს დასაზღვევად.

რესპონდენტების მიერ პრობლემურად განიხილება მომსახურების ღირებულება - მიახლოებით მესამედისთვის (34%) ეს, გარკვეული ხარისხით, დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა. რეგიონულ ჭრილში განხილვისას ძირითადი ტენდენციები ნარჩუნდება - მომსახურების ღირებულება შედარებით პრობლემურია პანკისსა (37%) და ქვემო ქართლის რეგიონში(38%).

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე პირების 90% არავაქცინირებულია. მათ შორის, უმრავლესობა (67%) ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია.

ე) უფლებების დაცვა

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (42%-91%) ყველა ეთნიკურ ჯგუფთან მიმართებით აფიქსირებს, რომ ამ ჯგუფების უფლებები მათ რაიონში/ქალაქში დაცულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი დიდ უმრავლესობას წარმოადგენს (90.7%), მაშინ როდესაც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით მათი უფლებების დაცვაზე მიუთითებს გამოკითხულთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა (აზერბაიჯანელებთან მიმართებით - 49%, ქისტების შემთხვევაში - 42%; სომხებთან მიმართებით - 53%).

ვ) თვითმმართველობა

არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე უმცირესობების რეგიონებში დაბალია თვითმმართველობის დონეზე ჩართულობა და მონაწილეობა.

საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის მიმართვიანობის დონე დაბალია (6%-13%). გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (75%-ზე მეტი) არაინფორმირებულია, რომ მონაწილეობის მიღება შეუძლია ბიუჯეტის დაგეგმვაში, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში, ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ქართული ენის ცოდნის დონის ზრდასთან ერთად იზრდება თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობის დონეც.

აქვე საინტერესოა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.9%) ამბობს, რომ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისა და მოვალეობების შესახებ ინფორმირებული არ არის. რესპონდენტთა მესამედი (33.7%) თვლის, რომ ნაწილობრივ ინფორმირებულია. ხოლო საკმაოდ ინფორმირებულობაზე მიუთითებს მხოლოდ 3.3%.

ზ) მიგრაცია

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს საზღვარგარეთ მიგრაციის სურვილსა და მიზეზებზე. ის რესპონდენტები, რომელთაც მიგრაციის სურვილი აქვთ და/ან აპირებენ ქვეყნიდან წასვლას, ამის მიზეზად, ძირითადად, ასახელებენ სიღარიბეს (40.5%) და სამუშაო ადგილების ნაკლებობას (25.9%). მიგრაციის მაპროვოცირებელ ფაქტორებად სიღარიბისა და სამუშაო ადგილის პრობლემა ყველა ეთნიკურ ჯგუფში მწვავედ დგას, თუმცა კიდევ უფრო მკვეთრია აზერბაიჯანულ თემში (83.1% და 86.6%), სამუშაო ადგილების პრობლემა, ასევე, აქტუალურია ქისტების თემში (79.6%), ხოლო სიღარიბე - ურბანულ მცირე ეთნოსებსა (65%) და ოსებში (62.3%).

მიგრაციის მაჩვენებლების შედარება დომინანტურ და არადომინანტურ ჯგუფებში რთულია მეთოდოლოგიურად, თუმცა, ISSA რაოდენობრივი კვლევის შედეგები ამ კუთხით სოციალური ნიჭილიზმის მაღალ მაჩვენებლებს აჩვენებს.

2. სახელმწიფო სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობაზე

სოციალური და ეკონომიკური მონაწილეობის მხრივ არსებული კრიტიკული გამოწვევების ფონზე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ვერ გვთავაზობს გარდამტეხ რეფორმებს და ინიციატივებს რაც არაერთი მიმართლებით ჩავარდნას აღმოფხვრიდა. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს სჭირდება

კონკრეტული ხედვა და სამუშაოები, და ამ ჩავარდნების აღმოსაფხვრელად არ იქნება საკმარისი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, ტრენინგები და კონსულტაციების ციკლი, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა და აუცილებლობისა.

სტრატეგიული პრიორიტეტის ქვეშ სახელმწიფოს ათწლიანი სტრატეგია გულისხმობს შემდეგ მიმართლებებს: ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება, სადაც სტრატეგია აკონკრეტებს რომ უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენაზე და მათ მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიწოდება გააქტიურდება; ინკლუზიური სამუშაო ბაზრის შექმნა, სოციალური უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება; სოციო-ეკონომიკურ პროგრამებში და სერვისებში უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინება; პროფესიულ განათლებაზე სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობა; უმცირესობების რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება; სტატისტიკური მონაცემების შეგროვება; საჯარო სამსახურში დასაქმების მიმართლებით „1+4 სტაჟირების პროგრამის“ შესაძლებლობების განვითარება.

უშუალო სამოქმედო გეგმის დონეზე რომელიც ორი წლის აქტივობების განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები მოიცავს შემდეგ საკითხებს: საინფორმაციო კამპანიები დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ასევე ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების შესახებ, საკონსულტაციო შეხვედრები სოფლის მეურნეობის პროგრამების შესახებ, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება, მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები; რაც შეეხება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-ანალიზს, ამ მიმართულებით სახელმწიფო გეგმავს დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკის წარმოებას.

ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს, დასაქმების, ჯანდაცვაზე, სოციალურ და სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის, სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებებით ეთნიკურად სეგრევირებული სტატისტიკური მონაცემების გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს დანერგოს სპეციალური პროგრამები, რაც ამ სფეროებში ჩავარდნებს აღმოფხვრიდა. სახელმწიფო ერთის მხრივ აღიარებს ამგვარი მონაცემების შექმნის საჭიროებას, რაც სტრატეგიის დონეზეც არის გაცხადებული, თუმცა უშუალო ღონისძიებები არ არის დაგეგმილი სამოქმედო გეგმის დონეზე. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკის წარმოებას, რაც ამ დრომდეც ხორციელდებოდა.

სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური მექანიზმების და პროაქტიული პოლიტიკის არარსებობის, და ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით შევეცდებით წარმოვადგინოთ და გავაანალიზოთ სოციალური ექსკლუზიის თეორიული ჩარჩო და ის საერთაშორისო სტანდარტები რასაც ევროპის საბჭო ადგენს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში.

3. რას გულისხმობს სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია?

ტერმინი „სოციალური ექსკლუზია“ ევროპაში წარმოიშვა ფართო მასშტაბიანი და განგრძობადი უმუშევრობის პრობლემის აღსაწერად.⁷ თუმცა შემდგომში ამ ცნებამ უფრო ფართე და კომპლექსური შინაარსი შეიძინა, ვიდრე მხოლოდ უმუშევრობა და სიღარიბეა. ამ პრობლემებმა ბიძგი მისცა კეთილდღეობის სისტემების მიმართ კრიტიკას, რომლებმაც ვერ შეძლეს გადაელახათ სიღარიბე და ეკონომიკის განუვითარებლობა. „სოციალური ექსკლუზია“, „ახალი სიღარიბე“ „ქვედა დონის კლასი - underclass“ ის ცნებებია, რომელიც თავდაპირველად საფრანგეთში, შემდეგ ბრიტანეთში და დანარჩენ ევროკავშირში გავრცელდა იმისა აღსაწერად თუ რა ნეგატიური გავლენა აქვს მოწყვლად მოსახლეობაზე უნივერსალური სოციალური პოლიტიკის ჩავარდნას, დასაქმების და შემოსავლის არათანასწორ გადანაწილებას.⁸ გარდა ამისა, სოციალური ექსკლუზიის ცნება მოიცავს სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობების სხვადასხვა ფაქტორებს და გარემოებებს, როგორცაა არასათანადო ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, გეოგრაფიული ლოკაცია და კონკრეტული ჯგუფის კულტურული მახასიათებლები.⁹ ექსკლუზიის მასშტაბი დამოკიდებული სხვადასხვა ინდივიდუალურ თუ სოციალურ მახასიათებლებზე, როგორცაა რასა, გენდერი, ეთნიკურობა, სოციალური სტატუსი, რელიგია, ეკონომიკური შესაძლებლობები, ასევე პოლიტიკური ხედვები, საქმიანობა, ენა, საცხოვრებელი ადგილი.¹⁰

სოციალური ექსკლუზიის ასეთ განმარტებას გვთავაზობენ ბრისტოლის უნივერსიტეტის მკვლევარები:¹¹ „სოციალური ექსკლუზია კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი პროცესია. ის მოიცავს ხელმისაწვდომობის ნაკლებობას რესურსებზე, უფლებებზე, სერვისებზე და სიკეთეებზე, ასევე ნორმალურ ურთიერთობებში და საქმიანობებში ჩართვის შეუძლებლობას, რაც შესაძლებელია საზოგადოების უმრავლესობისთვის, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებში. ეს გავლენას ახდენს ინდივიდების ცხოვრების ხარისხზე და მთლიანად საზოგადოებაში თანასწორობასა და ერთიანობაზე.“

როდესაც საუბარია უმცირესობების ეკონომიკურ გარიყულობასა და მოწყვლადობაზე, მკვლევარები სამ ძირითად არგუმენტს ეყრდობიან, როდესაც ამ საკითხის მნიშვნელობას ხაზს უსვამენ. პირველ რიგში უმცირესობების ეკონომიკური გამლიერება მთლიანად ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წარმატების მნიშვნელოვანი წილია. *სამართლებრივი პერსპექტივიდან*, უმცირესობების ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, როგორც ეს ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლშია განსაზღვრული, მოიცავს არა მხოლოდ ფორმალური თანასწორობის დაცვას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, არამედ ეფექტურ ზომებს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ინკლუზიის თვალსაზრისით.¹²

⁷ Babken Babajanian, Jessica Hagen-Zanker, Social protection, and social exclusion: an analytical framework to assess the Links, September 2012, Overseas Development Institute, 2; Arjan De Haan. Social Exclusion: Towards an Holistic Understanding of Deprivation, Department for International Development. (1999); 1-3.

⁸ Glenn C. Loury, Social Exclusion and Ethnic Groups: The Challenge to Economics, Boston University, გ 3-4.

⁹ Babken Babajanian, Jessica Hagen-Zanker, 2-3.

¹⁰ Babajanian, Hagen-Zanker, 3.

¹¹ Ruth Levitas, Christina Pantazis, Eldin Fahmy, David Gordon, Eva Lloyd and Demi Patsios, The Multi-Dimensional Analysis of Social Exclusion, January 2007, University of Bristol, 9.

¹² Alan Phillips, “The Framework Convention for the Protection of National Minorities and the Protection of the Economic Rights of Minorities” In: EURAC/ECMI (eds.) *European Yearbook of Minority Issues*, Vol. 3 (Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2005), 287-306.

ეკონომიკური განვითარების არგუმენტით, თუკი უმცირესობები ქვეყანაში დარჩებიან განათლების, ღირსეული შემოსავლის და დასაქმების გარეშე ეს პირდაპირ აისახება ამ ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.¹³ მულტიეთნიკური საზოგადოების წარმატებულ მაგალითად ასახელებენ იტალიის ერთ-ერთ რეგიონს - ბოლზანოს ავტონომიურ პროვინციას სამხრეთ ტიროლში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები უფრო მაღალია და დანარჩენ იტალიასთან შედარებით GDP 50%-ით მაღალია. ეს რეგიონი, სადაც გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, იტალიის რეგიონებს შორის ეკონომიკური განვითარებით პირველ ადგილზეა.¹⁴

უსაფრთხოების არგუმენტით კი, უმცირესობების განვითარებას თანაბარ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში კონფლიქტების პრევენციის და ინტერეთნიკური მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელობაც აქვს. სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ დაბალი ეკონომიკური განვითარება და სიღარიბე ინტერეთნიკური დაძაბულობის მეტ რისკს აჩენს, რაც შეიძლება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ან რესურსების უთანასწორო გადანაწილების საფუძველზე წარმოიშვას.¹⁵

უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა ამ ჯგუფის უფლებების დაცვის ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია. მიუხედავად ამისა, სამართლებრივ დოკუმენტებში ისევე როგორც ლიტერატურში ამ თემის განხილვისას ძირითადი აქცენტი კეთდება უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და ამ უფლების სოციალური და ეკონომიკური განზომილება მეორეხარისხოვნად არის მიჩნეული.¹⁶ სოციალური და ეკონომიკური მონაწილეობის ნაკლებობა, როგორც წესი, პირდაპირ აისახება პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხზე და ინტენსივობაზე, მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციაზე. გარდა ამისა, ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება ხელს უწყობს უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას და ზოგადად დემოკრატიის განვითარებას. ეკონომიკურ განვითარებას და დემოკრატიზაციას შორის კავშირებზე დემოკრატიის მკვლევარები ხშირად უთითებენ და ეს განსაკუთრებით რელევანტურია მულტიეთნიკურ საზოგადოებებში.¹⁷ სიღარიბეში მცხოვრები უმცირესობები ვერ შეძლებენ თანაბარი სოციალური კაპიტალი შექმნას, რაც საჭიროა მათი ხმების პოლიტიკურ და სოციალურ დღის წესრიგში დასაყენებლად. შესაბამისად მათ ეკონომიკურ განვითარებას პირდაპირი გავლენა აქვს პოლიტიკურ და სამოქალაქო მდგომარეობაზე.

სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. თუმცა ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ კულტურული უმცირესობებისთვის ეს უთანასწორობები უფრო მძიმე სახეს იღებს ხოლმე. მეტი მოწყვლადობის პირობებში ამ ჯგუფების უნარი ეფექტურად მონაწილეობდნენ სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში შედარებით დაქვეითებულია. ეთნიკური

¹³ Jonathan Wheatley, The Economic Dimension of Minority Participation in Europe, ECMI, Issue Brief N15, 2007, 3. See also: Tim Dertwinkel ECMI Issue Brief #19 November 2008 Economic Exclusion of Ethnic Minorities: On the Importance of Concept Specification, 6-7.

¹⁴ Jonathan Wheatley, The Economic Dimension of Minority Participation in Europe, ECMI, Issue Brief N15, 2007, 4.; GDP per capita in Italy in 2019 by region, ხელმისაწვდომია: <https://www.statista.com/statistics/658274/gross-domestic-product-gdp-per-capita-of-italy-by-region/>

¹⁵ Jonathan Wheatley, The Economic Dimension of Minority Participation in Europe, ECMI, Issue Brief N15, 2007, 4.

¹⁶ ECMI, Socio-Economic Participation of National Minorities; ხელმისაწვდომია: <https://www.ecmi.de/research/equality-and-inclusion/socio-economic-participation-of-national-minorities>

¹⁷ იგივე.

უმცირესობები როგორც წესი, ხშირად აწყდებიან პრობლემებს და ბარიერებს დასაქმების და შემოსავლის გამომწვევების თვალსაზრისით, ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ჯანდაცვის სერვისებზე, ღირსეულ საცხოვრებელზე, ხარისხიან განათლებაზე და საჯარო სერვისებზე.¹⁸

სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის ასახსნელად მკვლევარები ორ მიზეზს ასახელებენ: ერთის მხრივ, სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც უმცირესობების დაცვაზე არიან ფოკუსირებული ისტორიულად უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ კულტურულ და ლინგვისტურ უფლებებზე, მათ შორის 1919 წელს მიღებული უმცირესობათა ხელშეკრულებები, რომლებიც მაშინდელი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უფრო მეტად აქცენტს სწორედ პოლიტიკურ, კულტურულ და ლინგვისტურ უფლებებზე აკეთებდნენ. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციაც უმცირესობათა დაცვის შესახებ, რომელიც დღეს ყველაზე კომპლექსური სამართლებრივი დოკუმენტია, სოციო-ეკონომიკურ უფლებებს უფრო ნაკლები ინტენსივობით და აქცენტით ფარავს.

ამავე კონვენციის ფარგლებში შექმნილი მრჩეველთა კომიტეტიც სახელმწიფოების პერიოდული შეფასების დროს მეტად აქცევს ყურადღებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის საკითხს, ვიდრე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს.¹⁹ კრიტიკა მიემართება იმ საკითხსაც, რომ როგორც წესით სოციო-ეკონომიკური მონაწილეობის საკითხები ერთ კონკრეტულ თემაზე არის ხოლმე კონცენტრირებული მრჩეველთა კომიტეტის შეფასებაში, მაგალითად საცხოვრისი, დასაქმება, ინფრასტრუქტურა, და ხშირად ეს ანალიზი უფრო მეტად არის დამყარებული მონაცემებზე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ბომა ჯგუფებთან მიმართებაში. საერთაშორისო კანონმდებლობის ნაკლები ყურადღება ამ საკითხების მიმართ ეროვნულ დონეზე კანონმდებლობაში და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დონეზეც აისახება, სახელმწიფოები ნაკლებად აგროვებენ ეთნიკურად სეგრეგირებულ მონაცემებს რაც ასახავდა როგორია უმცირესობების მონაწილეობა სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, შესაბამისად ნაკლებად არის განვითარებული მონიტორინგის მექანიზმებიც ამ მიმართულებით.²⁰

მეორე მიზეზი სწორედ მონაცემების არქონას უკავშირდება, რაც აკადემიური და პოლიტიკური ინტერვენციის ინტერესზე აისახება შემდგომში. უმეტეს შემთხვევაში მონაცემები და კვლევები უკავშირდება ვერტიკალური უთანასწორობის ასპექტებს (ინდივიდებს შორის) და იზომება სხვადასხვა ფორმით საზოგადოებრივი გამოკითხვების გზით ან ისეთი საზომით, როგორიც არის მაგალითად ჯინის კოეფიციენტი. თუმცა, როცა საქმე ეხება ჰორიზონტალურ უთანასწორობებს (სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის), ინფორმაცია უფრო ძნელი მოსაპოვებელია, რადგან მონაცემები ეთნიკურად არ არის სეგრეგირებული, როგორც წესი. ეროვნული კანონმდებლობები ხშირად კრძალავენ ეთნიკური ნიშნით მონაცემების დაყოფას პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესით ან უბრალოდ ინტერესის არარსებობის გამო. მონაცემების ნაკლებობის გამო მკვლევარები ხშირად იყენებენ არაპირდაპირ მონაცემებს, როგორც არის რეგიონულად

¹⁸ ECMI Minorities Blog: Less Equal than others: National minorities and the overlooked challenge of socio-economic inequalities, ხელმისაწვდომია <https://www.ecmi.de/infochannel/detail/less-equal-than-others-national-minorities-and-the-overlooked-challenge-of-socio-economic-inequalities>

¹⁹ Andreea Cârstocea, National Minorities and Socio- Economic Equality: Still Work in Progress, ECMI Brief N 41, 2018, 4-6.

²⁰ Tim Dertwinkel ECMI Issue Brief #19 November 2008 Economic Exclusion of Ethnic Minorities: On the Importance of Concept Specification,

სეგრეგირებული ინფორმაცია ან ლინგვისტურად დაყოფილი მონაცემები, რომელიც ხშირად ვერ პასუხობს დასმულ საკითხებს.

ზოგადად, სოციალური ექსკლუზია უფრო ფართე ცნებაა და გულისხმობს მონაწილეობის არქონას და ხელმიუწვდომლობას საზოგადოების ძირითად საქმიანობებზე. სოციალური ექსკლუზია ფართედ შეიძლება გავიგოთ, როგორც საზოგადოების ერთი ჯგუფის ექსკლუზია ან მარგინალიზაცია სხვა იდენტობის გამო. ის აერთიანებს ექსკლუზიის სხვადასხვა სახეებს, როგორც არის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ექსკლუზია.²¹

უფლებრივი პერსპექტივიდან, პოლიტიკური ექსკლუზია გულისხმობს პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების არქონას, რომელიც როგორც წესი გადაილახება ხოლმე სრული მოქალაქეობის მინიჭებით, ან უმცირესობებისთვის სპეციალური პოლიტიკური უფლებების ამოქმედებით, რასობრივი ან ეთნიკურ ნიადაგზე არსებული მარგინალიზაციის შემთხვევაში. პოლიტიკური ექსკლუზია როგორც წესი უკავშირდება სხვადასხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, მათ შორის პოლიტიკური მონაწილეობა, გამომხატვის და შეკრების თავისუფლება, და სხვა.²²

კულტურული ექსკლუზია გულისხმობს უმცირესობების გარიყვას საზოგადოებიდან იმ მიზეზით, რომ ისინი დომინანტი ეთნიკური ჯგუფისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, ან განსხვავებულ აღმსარებლობას მისდევენ, ან განსხვავებული კულტურული ტრადიციები აქვთ. რაც შეეხება ეკონომიკურ ექსკლუზიას, ის ფართედ გაგებულა როგორც დაბალი მონაწილეობა ან ხელმიუწვდომლობა შრომის ბაზარზე, საჯარო სამსახურში, ფინანსებზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და საცხოვრისზე.²³ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური ექსკლუზიის ცნება დროთა განმავლობაში გაფართოვდა და ახალი განზომილებები შეიძინა, მაშინ როცა მისი თავდაპირველი გაგებით ის მხოლოდ ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა.²⁴

სოციალური ექსკლუზიის ცნების ამ სამხრივი შინაარსიდან გამომდინარე (პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური) ექსკლუზიის გაზომვის ინდიკატორების სამი მიმართულება არსებობს: ინდიკატორები რომელიც ზომავს ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საბაზისო სერვისებზე, მათ შორის განათლებაზე და ჯანდაცვაზე; ინდიკატორები, რომელიც ზომავს დასაქმების შესაძლებლობებს და შემოსავლის წყაროს. და მესამე მიმართულება - სამოქალაქო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ინდიკატორები.²⁵ ვინაიდან ექსკლუზია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სივრცეს/სფეროს შეიძლება ეხებოდეს ამ მიმართულებებიდან გამომდინარე, მისი ობიექტური შეფასებისთვის მნიშვნელოვანია არა გარკვეული ზღვრული ბარიერების

²¹ Tim Dertwinkel ECMI Issue Brief #19 November 2008 Economic Exclusion of Ethnic Minorities: On the Importance of Concept Specification, 7.

²² Jordi Estivill, CONCEPTS AND STRATEGIES FOR COMBATING SOCIAL EXCLUSION: An overview, ILO, 2003, 17.

²³ Jonathan Wheatley, "The Economic Status of National Minorities in Europe: a Four-Case Study", 6 *Journal of Ethnopolitics and Minority Issues in Europe* 6 (2007), 1-35. ა

²⁴ Tim Dertwinkel ECMI Issue Brief #19 November 2008 Economic Exclusion of Ethnic Minorities: On the Importance of Concept Specification, 16-17; Jordi Estivill, CONCEPTS AND STRATEGIES FOR COMBATING SOCIAL EXCLUSION: An overview, ILO, 2003, 18.

²⁵ UN, Department of Economic and Social Affairs, Leaving no one behind: the imperative of inclusive development, Report on the World Social Situation, 2016, 34-40.

დაწესება, რომლის მიღმაც ადამიანის სოციალური ექსკლუზია დადგინდება, არამედ საჭიროა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავების და უთანასწორობის დადგენა, როგორც ექსკლუზიის სიპტომის ან შედეგის.²⁶

უმცირესობების ეკონომიკური ექსკლუზიის კონცეფციის ანალიზისას მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ის მრავალგანზომილებიანი და მრავალდონიანი ცნებაა²⁷ და მისი მთავარი ონტოლოგიური კომპონენტებია **ნაკლები მონაწილეობა** რაც გამოიხატება **ხელმისაწვდომობის ნაკლებობაში და დისკრიმინაციაში**. ხელმისაწვდომობის ნაკლებობა შეიძლება არსებობდეს შრომით ბაზარზე, ან უმაღლეს განათლებაზე, ფინანსურ რესურსებზე, მიწის რესურსზე, წყალზე, საცხოვრისზე და სხვა მნიშვნელოვან რესურსებზე რაც ადამიანის თანასწორი და ღირსეული ყოფისთვის და განვითარებისთვის არის აუცილებელი. დისკრიმინაციის გამოხატულებაა მაგალითად, დაბალ-ანაზღაურებადი სამსახურები კონკრეტულად ერთი ეთნიკური ჯგუფისთვის, ან ბუღინგი ეთნიკური ნიშნით დასაქმების ადგილას/სკოლაში და სხვა.²⁸ გარდა ამისა, სოციალური ექსკლუზია ასევე გულისხმობს სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობებს და პროცესებს, რომელიც კონკრეტული ჯგუფის გარიყულობას იწვევს. მაგალითად პოლიტიკური ელიტა შესაძლებელია გამორიცხავდეს სხვა ჯგუფების სამოქალაქო უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, რაც იწვევდეს ამ ჯგუფების გარიყულობას, ეთნიკური უმცირესობები შესაძლოა შეზღუდული იყვნენ მათი იდენტობის გამოხატვისგან და სხვა.²⁹

ამასთანავე, ექსკლუზია ფართობითი/რელატივისტური ცნება, რაც გულისხმობს რომ X ჯგუფის გარიყულობა უნდა შევადაროთ სხვა ჯგუფის მდგომარეობას, ხშირ შემთხვევაში ეს სხვა ჯგუფი არის მთლიანი დანარჩენი საზოგადოება, ან საშუალო მაჩვენებელი მთლიანი ეკონომიკური მდგომარეობის. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის 2016 წელს ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანის ცხოვრებისეული შესაძლებლობები განვითარებასთან და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ის. სოციალური ჯგუფით განპირობებული განსხვავებები მაგალითად განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობაში, ასევე ინფრასტრუქტურულ განვითარებაში და დასაქმებაში გავრცელებულია და სიმპტომური სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში და ეს უთანასწორობები ერთმანეთს აძლიერებს. მაგალითად, ცუდი ხარისხის ჯანდაცვის სერვისები და განათლებაზე ხელმისაწვდომობა, პირდაპირ გადაჯაჭვულია სიღარიბესთან და უმუშევრობასთან, ასევე დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ ჩართულობასთან.³⁰ ასევე, სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი ეთნიკურ უმცირესობებში პირდაპირ გადაჯაჭვულია მათი დასაქმების და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებთან.³¹

ნიშანდობლივია ისიც გამოვყოთ, რომ სოციალური ექსკლუზია არ გულისხმობს მხოლოდ სიღარიბეს და ეს ორი კონცეფცია განსხვავდება სოციალური მეცნიერების ლიტერატურაში.

²⁶ UN, Department of Economic and Social Affairs, Leaving no one behind: the imperative of inclusive development, Report on the World Social Situation, 2016, 55-70.

²⁷ Arjan De Haan. Social Exclusion: Towards an Holistic Understanding of Deprivation, Department for International Development. (1999), 6.

²⁸ Tim Dertwinkel ECMI Issue Brief #19 November 2008 Economic Exclusion of Ethnic Minorities: On the Importance of Concept Specification, 16-17.

²⁹ Arjan De Haan. 8.

³⁰ UN, Department of Economic and Social Affairs, Leaving no one behind: the imperative of inclusive development, Report on the World Social Situation, 2016, 137.

³¹ Arjan De Haan. 8

სიღარიბე ძირითადად უკავშირდება 'საბაზისო საჭიროებებზე' ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, რაც გულისხმობს საკვებს, წყალს, სამედიცინო დახმარებას, ღირსეულ საცხოვრისს, და სხვა. სიღარიბე ძირითადად გაზომვადია შემოსავლის რაოდენობით, თუმცა სოციალური ექსკლუზია, როგორც მრავალგანზომილებიანი და ფარდობითი კონცეფცია მხოლოდ შემოსავალს არ განიხილავს როგორც ინდიკატორს, კონკრეტული ჯგუფის მოწყვლადობის გასაზომად.³²

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების და ინსტიტუციური მოწყობის შეფასებისას რამდენიმე ფაქტორი იჩენს თავს, რაც როგორც წესი განაპირობებს ხოლმე ამ ქვეყნების კონტექსტში უმცირესობების ექსკლუზიას ან პირიქით დაწინაურებას. ამ ფაქტორების ერთ-ერთი მთავარი წყაროა კონსტიტუცია და ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა.³³ მაგალითად, კონსტიტუციაში ისეთი საკითხის რეგულირება როგორცაა მოქალაქეობის მინიჭება, სახელმწიფო ენა (რომელიც შემდგომში აისახება უმცირესობებისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე, ასევე განათლებაზე ხელმისაწვდომობაზე), სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები და ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის გავლენას ახდენს უმცირესობების სოციო-ეკონომიკურ ყოფაზე, მათ მონაწილეობაზე ეკონომიკურ პროცესებში და ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა სფეროში.

გარდა ამის, ქვეყნის რეგიონული განვითარების დონე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, სადაც ხშირად ვლინდება ხოლმე უმცირესობების ეკონომიკური მარგინალიზაციის პრობლემები. ზოგჯერ უმცირესობები ეკონომიკურად მოწყვლად პირობებში არიან, რადგან კონცენტრირებულად ცხოვრობენ პერიფერიულ რეგიონებში, რომელიც ეკონომიკურად იზოლირებულია დედაქალაქისგან და სხვა ეკონომიკური ცენტრებისგან. დიდი გასხვავება ცხოვრების სტანდარტებს შორის ქალაქსა და პერიფერიულ რეგიონებში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესზე აისახება და ამგვარად ეთნიკური უმცირესობები ორმაგად რთულ მდგომარეობაში ვარდებიან, პირველ რიგში იმიტომ რომ ისინი პერიფერიულ რეგიონებში ცხოვრობენ კომპაქტურად და მეორეს მხრივ მათი ეთნიკურობის გამო.³⁴

პრივატიზაციის პროცესი, ანუ იმ სისტემებში სადაც სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე გადაეწყო ტრანსფორმაციული აღმოჩნდა ბევრი ჯგუფისთვის, რამაც გამოიწვია უმუშევრობის სწრაფი ზრდა. ამის მაგალითად ლიტერატურაში მოჰყავთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსი უმცირესობები, რომლებიც ლატვიაში და ესტონეთში ცხოვრობდნენ. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს პირიქით დადებითად აისახა უმცირესობებზე, მაგალითად უნგრელ უმცირესობებზე რუმინეთში. ეს მეორეს მხრივ განპირობებულია იმით, რომ ვაჭრობა მეტად განვითარდა მათი ეროვნების სახელმწიფოსთან (kin state) - რუმინეთსა და უნგრეთს შორის ვაჭრობა 1993 და 2003 წლებში პრაქტიკულად გაათმაგდა რაც დადებითად აისახა უნგრელ უმცირესობებზე რუმინეთში და პირიქით.³⁵ თუმცა ეს ასე არ ხდება როცა მეზობელი, საერთო ეროვნების სახელმწიფოს ეკონომიკა ნაკლებად არის განვითარებული და ამგვარი სავაჭრო კავშირები და ინვესტიციები ნაკლებად ხდება (რუსი უმცირესობების შემთხვევა ესტონეთში და

³² Arjan De Haan. 9.

³³ Jonathan Wheatley, „The Economic Dimension of Minority Participation in Europe“, ECMI Issue Brief 15, February 2007. Pg 5-7

³⁴ Jonathan Wheatley, „The Economic Dimension of Minority Participation in Europe“, ECMI Issue Brief 15, February 2007. Pg 7.

³⁵ Ibid,10.

ლატვიაში, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ და რუსეთთან სავაჭრო კავშირები პრაქტიკულად აღარ ჰქონდათ). მეზობელ სახელმწიფოსთან ვაჭრობის შესაძლებლობებზე საუბრობს ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტი საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასების დროს 2009 წელს, სადაც მიუთითებს რომ ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის დაწესებული ბარიერები ივაჭრონ მათი ეროვნების მეზობელ სახელმწიფოში, მაშინ როცა ფერმერებისთვის ეს მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა, არის გაუმართლებელი ბარიერი ამ ადამიანების ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვის თვალსაზრისით.³⁶

სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები და კორუფცია, კიდევ ერთი გარემოებაა რაც უმცირესობების სოციო-ეკონომიკური მონაწილეობის დამაბრკოლებელი ფაქტორია. არაფორმალური ადგილობრივი კლანები და ქსელები, კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც მართავენ ძირითად ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტებს და საჯარო სიკეთეებს უარყოფითად მოქმედებს უმცირესობების თანასწორ ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. როგორც წესი ეს დაჯგუფებები მონო-ეთნიკურია და უმცირესობები კარგავენ ხელმისაწვდომობას საჯარო სიკეთეებზე და გამორიცხული არიან ძირითადი ეკონომიკური აქტივებებიდან.

ამ გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკის დაგეგმვა სხვადასხვა მიმართულებით უმცირესობების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას, მათ შორის არის კონსტიტუციის და სხვა ფუნდამენტური კანონების სამართლებრივი დიზაინი, ეკონომიკური პოლიტიკა, განვითარების პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა (მეზობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ჭრილში, რომელიც უმცირესობებისთვის საერთო ეროვნული სახელმწიფოებია, ე.წ. kin-states), განათლების და დასაქმების პოლიტიკები, კორუფციასთან ბრძოლა და სახელმწიფო ინსტიტუციების გამართვა.

4. სოციალურ-ეკონომიკური მონაწილეობის ნორმატიული ჩარჩო და ევროპის საბჭოს სტანდარტები

უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ ყველაზე კომპლექსურ სამართლებრივ რეგულაციას ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ქმნის. მისი მეოთხე მუხლი განმარტავს, რომ წევრმა ქვეყნებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიიღონ ადეკვატური ზომები უმცირესობების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დასაწინაურებლად, სრული და ეფექტური თანასწორობის მისაღწევად. ამ შემთხვევაში კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მხედველობაში მიიღონ ის განსაკუთრებული პირობები, რაც უმცირესობებს გააჩნიათ შესაბამის კონტექსტში. გარდა თანასწორობასთან დაკავშირებული ამ ზოგადი მუხლისა, კონვენცია მე-15 მუხლში ცალკე განსაზღვრავს უმცირესობების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხსაც, სადაც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას შექმნას საჭირო პირობები ამ სფეროებში ეფექტური მონაწილეობისთვის.

მონაწილეობის „ეფექტურობა“ ცენტრალურია ამ უფლების განხორციელებაში, რადგან სახელმწიფოს მიერ ფორმალურად მონაწილეობის უზრუნველყოფა არ ითვლება

³⁶ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოზე, 2009, ACFC/OP/I(2009)001, პარა. 160.

საკმარისად ამ უფლების ქვეშ. სახელმწიფოებს ევალებათ, რომ უმცირესობების მონაწილეობას ჰქონდეს არსებითი გავლენა იმ გადაწყვეტილებებზე რაც მიიღება და რამდენდაც შესაძლებელია ისინი უნდა იყვნენ თანა-გადაწყვეტილების მიმღებნი. სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც, სახელმწიფოებს ევალებათ შექმნან ისეთი პირობები რომ ამ ჯგუფს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა დასაქმების ბაზარზე, როგორც ინდივიდუალურ აქტორებს ქვეყნის ეკონომიკაში, ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა სოციალურ დაცვაზე, და საბოლოოდ, ხარისხიან ცხოვრებაზე.³⁷

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მოიცავს არაერთ საკითხს, მათ შორის ხელმისაწვდომობა ადეკვატურ საცხოვრისზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ დაცვაზე (პენსია და სოციალური ბენეფიტები), სოციალური კეთილდღეობის სერვისებზე და დასაქმება. ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მოიცავს ხელმისაწვდომობას როგორც საჯარო ისე კერძო სფეროში, ასევე ხელმისაწვდომობას ბიზნესზე და თვით-დასაქმების შესაძლებლობებზე. ეს თავის მხრივ კავშირშია საკუთრებით უფლებასთან და პრივატიზაციის პროცესთან.³⁸ ყველა ამ მიმართულებით ხელმისაწვდომობის გასაზრდელად სახელმწიფოებს ევალებათ არა მხოლოდ შეამცირონ ბარიერები, არამედ ხელი შეუწყონ მონაწილეობის გაზრდას პოზიტიური მექანიზმების დანერგვით.

ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებები და მიგნებები სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით სახელმწიფოების შეფასებების სხვადასხვა ციკლის ფარგლებში უფრო კომპლექსური ხდებოდა, რაც ზოგადად მიუთითებს ამ უფლების განვითარებაზე და სახელმწიფოების პრაქტიკის დახვეწაზე. მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებებზე დაკვირვებისას რამდენიმე მთავარი მიგნების გამოყოფა შესაძლებელია, რაც უფლები განმარტებისთვის არის მნიშვნელოვანი; ეს მიგნებები ასევე წარმოადგენენ სახელმძღვანელო პრინციპებს სახელმწიფოებისთვის სოციო-ეკონომიკური მონაწილეობის გასაზრდელად პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

პირველი მთავარი საკითხი ეხება **უმცირესობების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არსებობას (1).**³⁹ ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტი მუდმივად სთხოვს სახელმწიფოებს მოაგროვონ ინფორმაცია და მონაცემები უმცირესობების სოციო-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო სიტუაციაზე იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს ამ მდგომარეობის შედარება მოსახლეობის უმრავლესობაში არსებულ მდგომარეობასთან. სანდო ინფორმაცია, რომელის სეგრეგირებულია სქესის, ასაკის, გეოგრაფიული გადანაწილების მიხედვის არის მნიშვნელოვანი პირობა განვითარებაზე გამიზნული და მდგრადი მიზნების შემუშავებისთვის, რომელიც რეალურ საჭიროებებს პასუხობს. სწორედ ამგვარი მონაცემების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი ეფექტური პოლიტიკების დაგეგმვა და დისკრიმინაციასთან გამკლავება პოზიტიური ზომებით. ზოგადი აღწერებით მოგროვებული ინფორმაცია როგორც წესი ამ მიზნებს არ პასუხობს და საჭიროა მიზანმიმართული კვლევა დეტალური სტატისტიკური მასალების

³⁷ Commentary No. 2 The Effective Participation of Persons Belonging to National Minorities in Cultural, Social and Economic Life and in Public Affairs, FCNM, 2008, 24. <https://rm.coe.int/16806b6a0b>

³⁸ Commentary No 2, FCNM, 25.

³⁹ Council of Europe, The Framework Convention: a key tool to managing diversity through minority rights. Thematic commentary No. 4: The scope of application of the Framework Convention for the Protection of National Minorities (Strasbourg:2016), p.22.

შესაქმნელად.⁴⁰ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა ან მათი ხარვეზიანობა იწვევს იმასაც რომ მრჩეველთა კომიტეტი ვერ აფასებს ცალკეულ ქვეყნებში არსებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას ერთიანი სტანდარტით და სტრუქტურით და ვერ გასცემს უფრო სპეციფიკურ რეკომენდაციებს კონკრეტულ სფეროებში პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. მრჩეველთა კომიტეტის შეფასებებზე დაკვირვება აჩვენებს რომ ბომა მოსახლეობასთან მიმართებაში კომიტეტის რეკომენდაციები უფრო რეგულარული და სტრუქტურირებულია, რადგან მათთან მიმართებაში მონაცემები უფრო მეტად მუშავდება, შესაბამისად ცალკეული საკითხები როგორცაა დასაქმება, საცხოვრისი, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა უფრო მეტად არის გაანალიზებული. თუმცა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში ეს და სხვა საკითხები არ არის რეგულარულად შესწავლილი კომიტეტის მიერ და შესაბამისად რეკომენდაციებიც უფრო ზოგადი და ბუნდოვანია მათი განხორციელების პერსპექტივებიდან გამომდინარე.⁴¹

კანონმდებლობის დონეზე დისკრიმინაციული მიდგომების აღმოფხვრა (2), რაც ხელს უშლის უმცირესობებს სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაში მეორე მნიშვნელოვანი საკითხია მრჩეველთა კომიტეტის შეფასებებში. კანონმდებლობა, რომელიც სრულფასოვნად აღმოფხვრის ყოველგვარ დისკრიმინაციას დასაქმების სფეროში, საცხოვრისზე ხელმისაწვდომობაზე, ჯანდაცვის მიმართულებით, სოციალური დაცვის სფეროში მიჩნეულია როგორც კრიტიკული წინაპირობები მე-15 მუხლით გარანტირებული უფლების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც ამ მიმართულებებით ბარიერებს აღმოფხვრის და შემდგომში შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვა კანონის განხორციელების მიზნით არის ერთ-ერთი კრიტიკული რეკომენდაცია, რასაც მრჩეველთა კომიტეტი გასცემს წევრ ქვეყნებზე.⁴²

მრჩეველთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ **უმცირესობების სოციო-ეკონომიკურ საჭიროებებთან შესაბამისობაში საჯარო სამსახურების შესაძლებლობების გაზრდა (3)** აუცილებელი გარემოებაა ამ ჯგუფისთვის საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესაქმნელად. ადმინისტრაცია და საჯარო სერვისები ისეთ სფეროებში, როგორც არის განათლება, ჯანდაცვა, საჯარო ტრანსპორტი და კომუნალური სერვისები, საცხოვრისი, სოციალური დაცვა, რეკრეაცია და სპორტი, მნიშვნელოვანია რომ პასუხობდეს უმცირესობების საჭიროებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სფეროებიდან გამორიცხვა უმცირესობების ჯგუფს ართმევს ბაზისურ სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას და იწვევს მათ სოციალურ ექსკლუზიას. ამისათვის სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს შესაბამის ორგანოებში გადამზადებული მომსახურე პერსონალი და შესაბამისად ორგანიზებული საჯარო ინსტიტუციები. ეს ასევე გულისხმობს ინფორმაციის და კონსულტაციების შესაძლებლობას უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ სფეროებში თვითონ უმცირესობების დასაქმებაც, რაც სერვისებზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის და გააძლიერებს უმცირესობების მონაწილეობას სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

პერიფერიულ რეგიონებში უმცირესობებისთვის სპეციალური შესაძლებლობების შექმნა (4) მნიშვნელოვანია იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად რაც ამ რეგიონებში ჩამორჩენილი

⁴⁰ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება უკრაინაზე 2008, ACFC/OP/II(2008)004, პარა.223-230

⁴¹ Andreea Cârstocea, National Minorities and Socio- Economic Equality: Still Work in Progress, ECMI Brief N 41, 2018, 9.

⁴² მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება სომხეთზე 2016, ACFC/OP/IV(2016)006 გვ 12.

ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობით არის გამოწვეული. სასაზღვრო ზონებში და ცენტრიდან მოშორებულ რეგიონებში დაბალი რეგიონული განვითარების პირობებში უმცირესობები არაერთ ბარიერს აწყდებიან არათუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ ზოგადად ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც. ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამები და ტარგეტირებული რეგიონული განვითარების ინიციატივები უნდა იყოს დაგეგმილი უმცირესობების საჭიროებების შესაბამისად. დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში კი თავად ეს ჯგუფებიც უნდა იყვნენ ჩართული. მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაცია საქართველოსთან მიმართებაში, შეფასების პირველი ციკლის ფარგლებში სწორედ პერიფერიულ რეგიონებში, ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში, მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას ეხება; გარდა ამისა კომიტეტი მოუწოდებდა სახელმწიფოს ჩართოს უმცირესობები მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას.⁴³ სერბეთის მეორე ციკლის შეფასების ფარგლებში კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ასევე უმცირესობებით დასახლებულ პერიფერიულ რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების და ფინანსების თანაბარი გადანაწილების პრობლემას⁴⁴

არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი უმცირესობების სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვა (5) გულისხმობს ხელმისაწვდომობის გაზრდას შრომით ბაზარზე, განათლებაზე, საცხოვრისზე და სხვა. ამისათვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი ხედვა და სტრატეგიები, რომელიც უმცირესობების საჭიროებებს ასახავს.⁴⁵

მიწაზე და საკუთრებაზე ხელმისაწვდომობა (6) მე-15 მუხლით გარანტირებული უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. არათანასწორი ხელმისაწვდომობა მიწაზე და საკუთრებაზე, რომელიც ხშირად პრივატიზაციის პროცესის შედეგად არის, უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს უმცირესობებს. ამისათვის სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული თანასწორი და სამართლიანი გზები პრივატიზაციის პროცესისთვის და ქონების რესტიტუციის მიმართულებით. მიწაზე უფლების დარღვევა განსაკუთრებული ზიანის მომტანია იმ ჯგუფებისთვის, ვისთვისაც მიწასთან დაკავშირებული საქმიანობა ტრადიციის ნაწილია ან ძირითადი შემოსავლის წყაროა და რაც განაპირობებს მათ მონაწილეობას სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.⁴⁶

დასაქმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (7),⁴⁷ როგორც არის ქვეყნის რეზიდენტობა, მოქალაქეობა, ენის ცოდნა და სხვა, ხშირ შემთხვევაში უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ეთნიკურ უმცირესობებს. სწორედ ამიტომ სახელმწიფოებმა ამგვარი არასაჭირო მოთხოვნები უნდა გააუქმონ ან შექმნან შესაბამისი პირობები, რომ უმცირესობების ჯგუფებმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილონ, მაგალითად ენის კურსების გაძლიერებით, ან საჯარო სერვისებზე ინფორმაციის თარგმნით. კომიტეტმა საქართველოზე შეფასების

⁴³ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოზე, 2009, ACFC/OP/I(2009)001, პარა. 157-158.

⁴⁴ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება სერბეთზე, 2009, ACFC/OP/II(2009)001, პარა 261-262.

⁴⁵ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება გერმანიაზე, 2002, ACFC/INF/OP/I(2002)008, პარა 66.

მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება უნგრეთზე, 2001, ACFC/INF/OP/I(2001)4, გვ 16-17. მოსაზრება უნგრეთზე, 2016, ACFC/OP/IV(2016)003, გვ 4-5.

⁴⁶ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოზე, 2009, ACFC/OP/I(2009)001, პარა. 161-162.

⁴⁷ მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება ხორვატიაზე, 2005, ACFC/INF/OP/II(2004)002 პარა 60-62.

პირველი ციკლის ფარგლებში აღნიშნა რომ ენობრივი ბარიერები არ უნდა იყოს გადაულახავი ბარიერი უმცირესობების დასაქმების პროცესში, მათ შორის საჯარო სექტორში. მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა რეკრუტირების დროს და მის შემდეგ დამატებითი კურსების შეთავაზოს დასაქმებულ უმცირესობებს სახელმწიფო ენაში.⁴⁸

საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა (8) სოციო-ეკონომიკური უფლების ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც უმცირესობების ჯგუფები განწირული იქნებიან სოციალური ექსკლუზიისთვის და სიღარიბისთვის. ეს საკითხი ძირითადად დაკავშირებულია ხოლმე კანონმდებლობის ხარვეზებთან რომელიც ვერ უზრუნველყოფს საცხოვრისის უფლებას, ან იძულებითი გამოსახლებების საკითხთან. როგორც ყველა სხვა სფეროსთან მიმართებაში, აქაც მნიშვნელოვანია უმცირესობები ჩართული იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შეეძლოთ არსებით გავლენა მოახდინონ მასზე, მათი ჯგუფის ინტერესების და წუხილების შესაბამისად. საცხოვრისთან დაკავშირებული რეკომენდაცია განსაკუთრებით ხშირია ბოშა მოსახლეობასთან კავშირში.⁴⁹

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები (9) შეიძლება უკავშირდებოდეს დისკრიმინაციას, სიღარიბეს, გეოგრაფიულ იზოლაციას, კულტურულ განსხვავებებს ან ენობრივ ბარიერებს.⁵⁰ ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად საჭიროა პოზიტიური ზომები სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის კულტურულ და ენობრივი ბარიერებთან გასამკლავებლად გადამზადებული სამედიცინო პერსონალი, უმცირესობების სამედიცინო სფეროში დასაქმება ასევე კარგი მექანიზმია ბარიერების გადასალახად. ასევე აუცილებელია თანაბრად ეფექტური სამედიცინო სერვისების მიწოდება, შესაბამისად სამედიცინო მომსახურების ხარისხი უნდა იყოს თანაბარი იმ სერვისისა რასაც უმრავლესობა იღებს.

5. დასკვნა - ძირითადი მიგნებები

როგორც ზემოთ გაანალიზებული ლიტერატურა და ევროპის საბჭოს პრაქტიკა მოწმობს, უმცირესობების სოციალური და ეკონომიკურ ექსკლუზიასთან გამკლავება შესაძლებელია მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც გარიყულობის, დაბალი მონაწილეობის და სიღარიბის სხვადასხვა შრეებს უპასუხებს. წარმოდგენილი რაოდენობრივი კვლევის მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ საქართველოში უმცირესობების სოციალურ ექსკლუზიას არაერთი განზომილება აქვს, რომლის საპასუხოდაც სახელმწიფო პოლიტიკა დღეს მზად არ არის.

პირველ რიგში, ამ პრობლემასთან ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სხვადასხვა სფეროში დაამუშაოს ეთნიკურად კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემები და რეგულარულად განაახლოს ის, იმის გასაზომად თუ როგორ მუშაობს სპეციალური სახელმწიფო პროგრამები და მიდგომები. ამგვარი მონაცემების გარეშე შეუძლებელი იქნება მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავება და რეალური ცვლილებების

⁴⁸ მრჩველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოზე, 2009, ACFC/OP/I(2009)001, პარა. 159

⁴⁹ მრჩველთა კომიტეტის მოსაზრება ბოსნია ჰერცეგოვინაზე 2009, ACFC/OP/II(2008)005, პარა.21-23; მრჩველთა კომიტეტის მოსაზრება ბულგარეთზე 2012, FCNM/II(2012)001, პარა 83-85.

⁵⁰ მრჩველთა კომიტეტის მოსაზრება უკრაინაზე 2008, ACFC/OP/II(2008)004, პარა.228.

წახალისება. რეგულარულად განახლებადი სტატისტიკური მონაცემები საჭიროა განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის, რეგიონული ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური საქმიანობის და ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის პოლიტიკური მონაწილეობის და სხვა სფეროებში.

კრიტიკულია სახელმწიფომ უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას გაიაზროს რომ სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ბარიერია და ის საჭიროებს იმგვარ კომპლექსურ მიდგომას, როგორც მრავალშრიანიც ზოგადად ექსკლუზიის ცნებაა. სახელმწიფო პოლიტიკა უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას დღეს არ ზომავს შესაბამისი ინდიკატორებით და არ გვთავაზობს სპეციალურ მექანიზმების ამ მიზნის მისაღწევად. პოზიტიური მექანიზმების არსებობა, თუნდაც დროებით სახით დასაქმების, განათლების, ეკონომიკური მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმ ჩავარდნის აღმოსაფხვრელად, რასაც ზემოთ წარმოდგენილი რაოდენობრივი კვლევა მიუთითებს.

როგორც ზემოთ განხილული კვლევებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების ხარისხი გაცილებით დაბალია, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, უფრო დაბალ შემოსავლებში, განათლებაზე ხელმისაწვდომობის უთანასწორობაში, სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებში დაბალ მონაწილეობაში ვლინდება. პროგრამებში, პროექტებში და პოლიტიკაში მონაწილეობის ბარიერებს შორის არსებული ენის პოლიტიკაა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობების დიდი ნაწილის მიერ ქართული ენის არცოდნის მიუხედავად მათ საქმის წარმოებაში უმცირესობების ენის გამოყენების შესაძლებლობას არ აძლევს.

ექსკლუზიის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს ქმედითი ზომები და პოზიტიური მექანიზმები საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციალური ექსკლუზიის აღმოსაფხვრელად. აშკარაა, რომ ყველა დონეზე უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა წლების განმავლობაში არ უმჯობესდება და ხშირად უარესდება კიდევ. ეს ხელს უშლის უმცირესობებს მათი სოციალური წუხილები გააგონონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და გავლენა მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების მოსახდენად. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ პირველ რიგში შექმნას საკონსულტაციო პლატფორმები აღმასრულებელ, საკანონმდებლო, და თვითმმართველობის დონეებზე, რაც ქმედითი მექანიზმები იქნება უმცირესობების ჩართულობის გასაზრდელად. ასევე მიიღოს პოზიტიური ზომები უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორცაა: უმცირესობების წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური პარტიების შექმნა, კვოტირების სისტემა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, ა.შ.
- დასაქმება - საჭიროა შემუშავდეს უმცირესობების საჯარო სფეროში დასაქმების წასახლისებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას როგორც მინიმუმ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, იმ რეგიონებში სადაც ეს ჯგუფები კომპაქტურად ცხოვრობენ. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დანერგოს პოზიტიური თანამშრომლობის გამოცდილებები კერძო სექტორთან უმცირესობების დასაქმების წასახალისებლად.

- სოფლის მეურნეობა და ეკონომიკური საქმიანობა - კვლევა აჩვენებს, რომ უმცირესობების 85% მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ პროექტებში სოფლის მეურნეობის, ბიზნეს და ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით. ამ პროგრამების შესახებ უმცირესობების თემებში არ არსებობს ინფორმაცია და ცოდნა ამ პროგრამებში ჩართვის პროცედურების შესახებ. ქმედითი ნაბიჯები სწორედ ამ მიმართულებით არის საჭირო, სახელმწიფომ აუცილებელია იზრუნოს რომ ამ პროექტებში მონაწილე უმცირესობების წილი მკვეთრად გაიზარდოს, ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე, შექმნას საკონსულტაციო სერვისები რაც მხარს დაუჭერს მათ ჩართულობას და მიმართვიანობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ უმცირესობების რეგიონებში სოფლის მეურნეობა მთავარი საქმიანობაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ეს რეგიონები ზოგადად, ყველაზე მეტად არიან ჩართულები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- განათლება - ამ მიმართულებით არაერთი სისტემური გამოწვევა არსებობს,⁵¹ განათლების ხარისხის, სახელმწიფო ენის სწავლების, სახელმძღვანელოების, წინა სასკოლო და სასკოლო ინფრასტრუქტურის, მასწავლებლების რაოდენობის და კვალიფიკაციის და სხვა მიმართულებებით. სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი და მდგრადი პოლიტიკა რომელიც ამ პრობლემებს უპასუხებდა, რაც ნეგატიურად აისახება უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე. წარმოდგენილ რაოდენობრივ კვლევაში მოყვანილი არაერთი მონაცემი მოწმობს უმცირესობების არასათანადო განათლების პრობლემას, რაც ძირეულ ბარიერს ქმნის ამ ჯგუფის სოციალური ინკლუზიის პროცესში. სწორედ ამიტომ აუცილებელია ერთიანი ხედვა და პოლიტიკა და ქმედითი ნაბიჯებით ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის აღმოფხვრა სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზიის დასაძლევად.
- კვლევამ დაადასტურა რომ უმცირესობების ჯგუფებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნა. იმ ფონზე რომ სახელმწიფოს არ აქვს შექმნილი თარგმანის რესურსები სხვადასხვა სოციალურ და სახელმწიფო სერვისებზე და პროგრამებზე ხელმისაწვდომობის პროცესში. ენის ცოდნა მნიშვნელოვან ბარიერებად იქცევა ეთნიკური უმცირესობებისთვის. ამიტომ სანამ სახელმწიფო შეძლებს სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებლის გაუმჯობესებას უმცირესობების ყველა ჯგუფში (მათ შორის ყველა ასაკობრივ ჯგუფში) აუცილებელია შეიქმნას თარგმანის რესურსები თვითმმართველობებთან კომუნიკაციის, ასევე მნიშვნელოვან სახელმწიფო რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროცესში.
- უმცირესობების დასახლებულ რეგიონებში არსებული მძიმე ინფრასტრუქტურული გარემო სოციალური გარიყულობის კიდევ ერთი განმაპირობებელი საფუძველია. კვლევა ადასტურებს, რომ კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ მიუწვდება ხელი სასმელ და სარწყავ წყალზე, გზასთან დაკავშირებული პრობლემები რეგიონული ცენტრიდან მოწყვეტილ სოფლებს მძიმე კლიმატის დროს ხშირად სრულ იზოლაციაშიც ტოვებს, გარდა ამისა უმცირესობებს ამ რეგიონებში აწუხებთ არაერთი საბინაო პრობლემა. ინფრასტრუქტურული ჩავარდნების აღმოფხვრა უმცირესობების რეგიონებში სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი

⁵¹ ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, <https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatilebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi>

უნდა გახდეს, ვინაიდან სხვა გარემოებებთან ერთად ის კიდევ უფრო აღრმავებს სოციალურ ექსკლუზიას.

ზემოთ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, კრიტიკულია სახელმწიფომ გაითვალისწინოს ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციით დადგენილი სტანდარტები, საქართველოსთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები, თემის ექსპერტების და უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნას საკონსულტაციო პლატფორმები სადაც ექსკლუზიის არაერთ შრეზე გადაწყვეტილების მიმღები პირები იმსჯელებენ და შეიმუშავენ სახელმწიფოს პოლიტიკას და თანმიმდევრულ გეგმას პრობლემებზე საპასუხოდ.